

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგითი სხდომის

ოქმი №1

ქ.ვანი. თავისუფლების ქ. N 65

25.01. 2021 წელი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე **ალექსანდრე ლილუაშვილი**.

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები: ალექსანდრე ლილუაშვილი, გიორგი ივანიაძე, რამაზ არველაძე, ტარიელ ბარამიძე, გიგა გოგობერიძე, კობა ტოხვაძე, გელა ვარდოსანიძე, გელა ჩიკვაძე, ეთერ ჭიჭინაძე, ვლადიმერ ჭვალაძე, გელა ღვიტიძე. (დანართი №1).

სხდომას საპატიო მიზეზის გამო არ ესწრებოდა: კობა ძაგნიძე.

სხდომას ესწრებოდნენ: საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის მოადგილე საორგანიზაციო საკითხებში- **ლუბა გოგობე**.

მოწვეული პირი:

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი-**ივანე მამფორია**.

სხდომა 14⁰⁰-საათზე გახსნა საკრებულოს ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა და წარმოადგინა 2021 წლის 25 იანვრის ბიუროს სხდომის

დღის წესრიგი

1., „ვანის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 დეკემბრის N28 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე;
მომხსენებელი: ივანე მამფორია

2., „ვანის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის პროფესიულ საჯარო მოხელეთა ეთიკის კოდექსის“ განხილვის შესახებ.

მომხსენებელი: გიორგი ივანიაძე

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა კენჭი უყარა 2021 წლის 25 იანვრის საკრებულოს ბიუროს სხდომის დღის წესრიგს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -11

წინააღმდეგი-არცერთი

ბიუროს წევრი .

დღის წესრიგის საკითხთან დაკავშირებით, მომხსენებელმა, საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის საბიუჯეტო დაგეგმარების განყოფილების უფროსმა, მირანდა ბელთაძემ (ივანე მამფორიას საპატიო მიზეზით არყოფნის გამო) წარმოადგინა დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 დეკემბრის N28 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე;

მომხსენებელმა მოკლედ აღნიშნა, რომ ბიუჯეტში ცვლილება განპირობებულია საქართველოს მთავრობის 2020 წლის 31 დეკემბრის 2685 განკარგულებებით გამოყოფილი თანხებისა და 2021 წლის 01 იანვრის მდგომარეობით არსებული საბიუჯეტო სახსრების ნაშთების ბიუჯეტში ასახვის საჭიროებით. საქართველოს მთავრობის 2020 წლის 31 დეკემბრის N2685 განკარგულებით „რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის თაობაზე“ ვანის მუნიციპალიტეტს გამოეყო 3208,0 ათასი ლარი.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის პირველ საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -11

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი.

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას საკრებულოს 2021 წლის 25 იანვრის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გიორგი ივანიაძემ წარმოადგინა დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის პროფესიულ საჯარო მოხელეთა ეთიკის კოდექსის“ განხილვის შესახებ. მომხსენებელმა აღნიშნა, ეს პროექტი შეიმუშავა გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსმა მარინა ღვინიაძემ არასამთავრობო ორგანიზაციებთან შეთანხმებით და მითითებებით. პროექტი წარმოდგენილია საკრებულს ვებ-გვერდზე განსახილველად და თუ რამე შენიშვნები იქნება, მივიღებთ გავითვალისწინებთ და დავამტკიცებთ მომდევნო საკრებულოს სხდომაზე.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის მეორე საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -11

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი.

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას საკრებულოს 2021 წლის 25 იანვრის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

ამით ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგითმა სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

ალექსანდრე ლილუაშვილი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომის თავმჯდომარე